სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე — 5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

ქალ-ვაჟთა სკოლა
## ელენე ლუკას ასულის ბახტაძისა
დ. ხონში
პირველ სექტემბრიდამ ამა 1898 წლისა, ნება-რთვით ბ. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა, გადაკეთებულ იქმნება ოთხ-კლასიან
### საქალებო პროგიმნაზიად
მოსწავლეთა გამოცდა უმცროსს და უფროსს მოსამზადებელ და აგრეთვე პირველ პროგიმნაზიულ კლასებში გაგრძელდება 1-დამ 10 სექტემბრამდე. ეგზამენები იქნება ყოველ-დღე, ნაშუადღევის 2 საათამდის.
თხოვნები უნდა გამოიგზავნოს პროგიმნაზიის უფროსის ელენე ბახტაძის სახელობაზე.
სწავლის საფასური მოსამზადებელში 30, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში 50 მან. წელიწადში. (15—4)

!!ყველას საგულისხმოდ!!
31 მაისიდან მცხეთის სადგურის მახლობლად 200 საჟენის მანძილზე (ბეჟანოვის საგარაკოში)
სასეირნო ბაღი
## არმაზი
ბაღში იქნება მუდმივ ევროპიული და ადგილობრივი საჭმელ-სასმელი.
ავდრებისა და უამინდობის დროს ბაღში გამართულია ფარდულები და ოთახები.
ეზოში მშვენიერს აუზში სასმელი წყალია წყაროდგან,
ცოცხალი თევზები
ყველაფერი იაფად
მშვიდობიანობა და სიწყნარე ყოველთვის დაცული იქნება.
(40—34) ე. ჩხარტიშვილი

## გაფრთხილება
რადგან ამ უკანასკნელ ხანებში ჩემი ფირმის ეტიკეტს (წარწერას) ყალბად ხმარობენ სხვა მექარხნეები, ამიტომ ვსთხოვ ჩემს მუშტრებს, რომ ყურადღება მიაქციონ ჩემს გვარს ნ. ბოზარჯიანცი (Н. Бозарджіанцъ).
პატივისცემით ტფილისის თამბაქოს მექარხნე
(5—4) ნ. ი. ბოზარჯიანცი

## იჯარით იძლევა სამ სართულიანი სახლი
რომელშიაც მოთავსებულია 17 ოთახი და შეადგენს ათს სადგომს თავის მოწყობილებით.
ტალახის ქუჩაზე № 27 (მეხუთე პოლიციის ნაწილში) სახლი ჯანყარაშვილისა.
პირობების შეტყობა შეიძლება მუხრანსკის ქუჩაზე, ლამბაროვის მამულში მეჩექმის ქარხანაში თომა ჯანყარაშვილთან. (2—2)



## „ბავშვების მოკეთის"
შესახებ.
აუარებელი გამამხნევებელი წერილები მშობლებისა და მასწავლებლებისა და მარჯვედ ყიდვა ამ წიგნისა მაიძულებენ მეორე გამოცემა დავიწყო და ვსთხოვ ყველას, ვისაც-კი გული ერჩის სამშობლო საყმაწვილო ლიტერატურისათვის, მომაწოდონ თავიანთი შთაბეჭდილებანი და შენიშვნები ამ წიგნის შესახებ. ყველა შენიშვნას სულითა და გულით მივეგებები. მიწერ-მოწერა შეიძლება ან ჩემს სახელობაზე სათავად-აზნაურო სკოლაში, ან „ცნობის ფურცლის" რედაქციაში.
წიგნი „ბავშვების მოკეთე" მოწონებული და სახელმძღვანელოთ დადებულია მთავრობის მიერ.
ეს წიგნი იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.—სოფლის მასწავლებლებს იაფად დაეთმობათ, ე. ი. უყდო 20 კაპ., ყდიანი 25 კაპ., თუ პირდაპირ ჩვენგან გამოიწერავენ.
ადრესი: Тифлисъ. Типографія Хеладзе, для передачи учителю Натадзе.
(50—28) პატივისცემით ალ. ნათაძე.

საზაფხულო თეატრი მადერისა
ორშაბათს, 24 აგვისტოს
ფოტოგრაფი ა. მ. მიშონი
უჩვენებს საზოგადოებას საქვეყნოდ განთქმულს
## კინემატოგრაფს
ლიუმიერის გამოგონებას და ინჟენერის I. Carpantier-ის შემუშავებულს, რომლითაც გადაღებულია მოძრავი სურათები, 5 საჟენის სიმაღლით.
სხვათა შორის აჩვენებენ რამდენიმე სურათს ტფილისის ცხოვრებიდან. დაწვრილებითი ცნობა აფიშებში იქნება.
დასაწყისი 9 საათზე

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე· შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ძ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ძ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.
*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

იყიდება
„ცნობის ფურცლის" რედაქციაში
იაფ-ფასიანი
სახალხო გამოცემანი:

| | | |
|---|---|---|
| თავ. ილია ჭავჭავაძე | 2 | კ. |
| ალექსანდრე ეპისკოპოსი | 3 | „ |
| სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე | 2 | „ |
| პატარა ბიბლიოთეკა | 2 | „ |

ვინც ას ცალს გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ორი აბაზი.
მსურველნი მიჰმართავენ „ცნობის ფურცლის" რედაქციას. (30—6)

## ახალი ამბავი

*** ჩარჩების საწინააღმდეგოდ, როგორც იქნა, ქალაქის გამგეობაც ამხედრებულა; როგორც ისმის, ქალაქის გამგეობას აზრადა

აქვს ამ საგანზე რაიმე ზომები შეიმუშაოს და ალაგმოს წვრილ ფეხა თუ სხვილ ფეხა ჩარჩები, რომელნიც თავის ნებაზე ათამაშებენ ყოველისფერს ტფილისის ბაზარში.

ღმერთმა ხელი მოუმართოს გამგეობას ამ ბრძოლაში ჩარჩებთან.

*** **რამდენ ხორცეულს სჭამს ტფილისი.** გამგეობის ანგარიშიდან ჩანს, რომ შარშან ტფილისის სასაკლაო-საყასბოში დაუკლავთ 50,598 სული მსხვილი საქონელი, 3,283 ხბო, 21,728 ღორი და 112,489 ბატკანი. ეხლა რამდენი იკვლება ისე, რომ მათი ანგარიში ქალაქმა არ იცის!

*** **ჯარების აღლუმი ტფილისში.** აგერ ერთი კვირაა, რაც ტფილისში ყოველ-დღე მოდის ახალ-ახალი ჯარი; აღლუმი დანიშნულია ამ თვის დამლევს, 28 აგვისტოს. ამ ჟამად კარგა ბლომა ჯარია მოგროვილი ზოგი ვერისაკენ და ზოგი დიდუბისაკენ.

*** **ფოთის ინჟენერად დაუნიშნავთ** ტფილისის საგუბერნიო მმართველობიდან ინჟენერი არციმოვიჩი.

*** **ქვირილის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება** უკვე მოქმედებს არსებულ საფოსტო კანტორის მაგიერ და ამის შემდეგ მიიღება ყოველივე დეპეშები.

*** **ყაჩაღების გაწყვეტა ყაზახბორჩალოში.** ყაზახის მაზრის უფროსს ბ-ნ ყანჩელს რის ვაი-ვაგლახით გაუწყვეტია განთქმული ყაჩაღის ხეჩოს ბუნაგი და თვით ხეჩოც მოუკლავს. თურმე ხეჩო თავის დამქაშებით თვისს მოხუცებულ დედასთან ყოფილა 19 აგვისტოს ვახშამად და იქ დასცემია თავს ბ-ნი ყანჩელი თავის ჩაფრებით და სულ ერთიანად ამოუჟლეტიათ.

*** **საქველ-მოქმედო წარმოდგენა.** კვირას, 23 აგვისტოს, სოფ. ახალქალაქში დანიშნულია ქართული წარმოდგენა ადგილობრივ სცენის-მოყვარეთაგან ზ. მ. საფაროვის მონაწილეობით, წარმოდგენის შემოსავალი წმინდათ დანიშნულია ადგილობრივი სკოლის სასარგებლოდ. წარმოდგენილი იქნება „ადამ და ევა", „მათიკო" მესამე მოქმ. და დივერტისმენტი.

*** **კათოლიკეთა სასულიერო სემინარია.** დიდი ხანი არ არის, რაც ჯავახეთში, ს. ხიზაბავრაში, მღვ. მიხ. ვარძიელმა გახსნა კათოლიკეთა კერძო სასულიერო სემინარია, სამის წლის კურსით, სომხის ტიბიკონზე.

გახსნისთანავე შევიდა ექვსი ყმაწვილი კაცი (სრულ წლოვანი), მათ შორის სამი ქართველია და სამიც სომეხი.

*** **ახალი დანიშნულება.** „ივერია" ამბობს, რომ განსვენებულ თავ. ა. ნ. ქავქავაძის ალაგას ტფილისის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრად ინიშნება დ. ს. ს. ვეიდენბაუმიო.

*** **ექიმება სოფლად.** ტფილისის გუბერნიის ექიმს ტ. ს. ქიქოძეს განუზრახავს სოფლებში მცხოვრებელთათვის სამკურნალო შემწეობის მისაცემად ისეთი წესრიგი დაადგინოს, რომ სოფლის ექიმები სოფელ-სოფელ დადიოდნენ სამკურნალო შემწეობის მისაცემად. ეხლა-კი ექიმები სხედან იმ სოფლებში, სადაც სასოფლო სამკურნალო იმყოფება, და თუ სხვა სოფელში ვინმე ავად ხდება, ავადმყოფი ან უნდა მოიყვანონ იმ სოფელში, სადაც სამკურნალოა და ან უნდა დარჩეს იგი უწამლოდ და უმკურნალოდ მაშინ, როდესაც ამ სამკურნალოს შესანახად ყოველი სოფელი ერთნაირად იხდის ხარჯს.

*** **ურწყავ პურის გამოცდა.** აზრადა აქვთ გამოსცადონ წელს სიღნაღის მაზრაში როგორ იხეირებს ისეთი პური, რომელიც ურწყავ ადგილებში მოდის. ამ აზრით დასავლეთ ტფილისის ნაწილის ინსტრუქტორმა კიდეც მიჰმართა კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას და სთხოვა 1,000 ფუთი ხორბალი გამოიწერეთ დასათესადაო.

*** **მადლობის გამოცხადება.** ბ. რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესად ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო ჩვენს დაუღალავ მუშაკს ზაქარია ჭიჭინაძეს, რომელმაც დაგვითმო ყოველ-ნაირი ქართული წიგნები საკითხავად ჩვენ პირველ კავკასიის მსროლელ რაზმის ჯარის-კაცებს.

კონსტანტინე ოდიშარია

*** **დ. ზესტაფონი.** კრება სამკითხველოს გამო. აქაურ ახალგაზდებმა თვისის მეცადინეობით დაარსა წიგნთ-საცავ-სამკითხველო, მაგრამ დღემდე ათასში თუ ერთხელ გაიღებოდა სამკითხველო და გამგებლობაც საძაგელი იყო. ეხლა ამ თვის 17 კრება მოხდა ამის შესახებ და წევრებმა აირჩიეს გამგეობა შემდეგ პირთაგან: პროვიზორი ბ-ნი ელიაშვილი, მასწავლებელი ჩხაიძე და აგენტი ბახტაძე. ბიბლიოთეკრად დაინიშნა არაბიძე, რომელსაც დაუნიშნეს თვეში 15 მ. ჯამაგირი.

ამ კრებაზე, სხვათა შორის, გამოირკვა ერთი ახირებული, მეტი რომ არა ვსთქვათ, გარემოება. ზოგიერთი ორატორები, ენაწყლიანი და მჭევრმეტყველნი ყმაწვილები უზრდელად იხსენიებდნენ გაზეთის მოამბებს და ზოგნი კი ისე გაკადნიერდნენ, რომ გაზეთებსაც შეეხნენ... ალბად რამე მიზეზი იყო; „პილპილი თუ არ გიჭამია პირი რათ გეწვისო" ამის ამბავი იყო სწორედ ამ ვაჟბატონების საქმე.

დამსწრე

*** **ს. გულიხეთი** (სამეგრელო). **სწავლა-განათლების მდგომარეობა.** ს. გულიხეთი, როგორც მოგახსენეთ ამას წინათაც, ბევრს გაჭირვებას გრძნობს. სწავლა-განათლება აქ მეტად სუსტს მდგომარეობაშია. აქ არსებობდა ერთი სამრევლო სკოლა განსვენებულის მამა მღ. ბესარიონ გიგინეიშვილის ხარჯით და თაობით. სკოლა ვინემდი არ დაიხურებოდა, რადგან საზოგადოება არ შველოდა, ცოტა სარგებლობა არ მოჰქონდა ხალხისთვის. ამ დროს ს. სამიქაოში გააშენეს როგორღაც ერთ-კლასიანი სასოფლო სასწავლებელი. ყველა გულიხეთის მცხოვრებმა მოიწადინა, თავიანთი შვილები იქ მიეცათ და ეს იყო უმთავრესი მიზეზი სამრევლო სკოლის დახურვისა. გულიხეთიდგან მხოლოდ ათიოდე ყმაწვილი მიიღეს და დანარჩენები კი დარჩნენ პირ-ჩალა გამოვლებული. ამათ ფიქრადაც არ მოსვლიათ, თუ რა რიგად გაუჭითდებათ უსუსურს ბავშვებს სწავლა, რომლებსაც, არა თუ ქარბუქიანს ზამთრის დღეებში, არამედ ზაფხულშიაც კი ეძნელებათ იმ სიშორეზედ სიარული. ეხლა გულიხეთიდან დადის სული ხსენებულ სასწავლებელში სამი თუ ოთხი ყმაწვილი. ამ ნაირათ გულიხეთი მთლად უსკოლოდ დარჩა. იმედია ბ. ერ. გიგინეიშვილი და მღ. ცხ—ია ყურადღებას მიაქცევენ ჩვენს გაჭირებას და გაანახლებენ სამრევლო სასწავლებელს.

ევგენი ჩიჯავაძე

**დ. საჩხერე** (იმერეთი). **დაწინაურების ნიშანი.** სადაც კი მიიხედავ ამ ჩვენ კურთხეულ ქვეყანაში, რომელი კუთხეც გინდა აიღო, ყველგან თითქმის ერთნაირად, ერთ დონეზედ სდუღს სიცოცხლე; ყველგან და ყველას ერთრამეზე მიუქცევია თავისი ყურადღება, სწავლა განათლება და წინ-მსვლელობა. ცხოვრებამ აშკარად დაანახვა ყველას, წოდების განურჩევლად, რომ ერთად ერთი საბრძოლველი იარაღი ცხოვრებაში სწავლა-განათლებაა. წინედ თუ გლეხი, მისდა საუბედუროდ, მოკლებული იყო თავისუფლებას, სამაგიეროდ ეხლა ისიც სხვებთან ერთად ჩქარის ნაბიჯით მიექანება განათლებისაკენ.

ჩვენს დაბა-სოფლებში დიდი მოძრაობაა განათლებისადმი. საზოგადოდ იმერეთს თითქმის ყველა სოფლებში იხსნება სასოფლო სამკითხველოები, სკოლები, როგორც სამინისტრო ისე სამრევლოები და ხალხიც, ჩვენდა სანუგეშოთ თანაგრძნობით ეკიდება ყველა ამ გვარს, მისდა საკეთილდღეოდ, დაწესებულებებს.

ყველგან იმართება წარმოდგენები; იქ, სადაც გუშინ თეატრი რა იყო არ იცოდნენ, დღეს, სხვათ შორის, ჩვენს გამოჩენილ დრამატიულ თხზულებებს სდგამენ; ზოგან რომელიმე საქველ-მოქმედო აზრით, ზოგან კი მდაბიო ხალხის განსავითარებლად, უსასყიდლოდ. ემატება ჩვენს პროვინციებს ნასწავლი ახალგაზდობა, ემატება ხალხს ენერგია და დაწინაურების ხალისი, მაგრამ. საუბედუროდ, როგორც მოგეხსენებათ სინათლეს სიბნელეც თან ახლავს ხოლმე. აი პატარა მაგალითი დაბა საჩხერეში ნახული და იქიდან ამოკითხული.

— **სამკითხველოს საქმე.** აქ არსებობს ერთი ბიბლიოთეკა, რაც დიდ ნუგეშს შეადგენს აქაურებსათვის; სასიამოვნოა, როცა ამ პატარა დაბაში ხედავ ასეთ ხალისს თვით განვითარებისადმი. ვინ გინდათ აქ არ შემოდიოდეს: მღვდელი, ერი თუ ბერი, ნასწავლი თუ უსწავლელი; წიგნებითაც და ჟურნალ-გაზეთებითაც შესაფერად მდიდარია. უნდა აღვნიშნო, რომ საზოგადოდ ამ ბიბლიოთეკას კარგი ბედი მოელის მომავალში. ყველა ამაებს ხელს უწყობს აქაური ადგილობრივი ინტელიგენცია და თავად-აზნაურობა.

— **წარმოდგენა.** აქ ამ ზაფხულ საქველ-მოქმედო აზრით ბიბლიოთეკის სასარგებლოდ გამართეს წარმოდგენა. წარმოდგენილ იყო ვ. გუნიას ხუთ-მოქმედ. დრამა „და-ძმა", სცენის მოყვარეთაგან ქ. ივანიძის მონაწილეობით. დრამამ ჩინებულად ჩაიარა, საზოგადოება ბლომად დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა. სრული შემოსავალი იყო 120 მანეთი. დიდი მადლობის ღირსნი არიან კნეინა გოგოლია წერეთლისა, ეფროსინე წულუკიძისა, ბბ. გიორგი ვარდენის ძე წერეთელი და ყარამან ჩხეიძე.

— **ახალი ბოქაულის ჩამოსვლა.** ამ დღეებში აქ მობრძანდა ახალი ბოქაული ბ. პოდგორნი; ჯერ სულ ახალგაზდა კაცია და იმისაგან საზოგადოება დიდს იმედს და ნუგეშს მოელის. იმედია ბ. პოდგორნი გაამართლეებს საზოგადოების იმედს.

მელქისედეკ ნანიეშვილი

*** ს. ჩარგალი (თიანეთის მაზრა). ტყის დაჩემება. როგორც ვიცით ახალის კანონით უნდა დაიბექდოს თვითეული ხე სახელმწიფო ტყისა და აღსრულებაშიაც მოჰყავთ: რამდენიმე ტყე უკვე დაიბექდა თიანეთის მაზრაში და ამ ჟამადაც აგრძელებენ მუშაობას. ამ მიზნით აგვისტოს პირველ რიცხვებში წასულა ვისაც მინდობილი აქვს ხეების ბეჭდა ს. ჩარგალში, სადაც სცხოვრობს ჩვენი სახალხო პოეტი ლუკა რაზიკაშვილი (ვაჟა-ფშაველა) და შესდგომია მუშაობას. იქ დახვედრია ლუკა რაზიკაშვილი და ნება არ მიუცია ხეების ბეჭდისა, რადგანაც ძალიან დიდი ხანია, რაც იმ ტყითა სარგებლობენ, მამა-პაპა შიგ დაბერებულა და ეხლა შვილები ბერდებიან, დღემდე ხმა არავის გაუცია და არც გამიჯვნა ყოფილა ჯერ და, როგორც მესაკუთრეს მოეხსენებინა, რომ ეს ტყე მე მეკუთვნის, თქვენ ტყუილადა ჩემულობთ და ამის დაბეჭვდის ნებას არავის მივცემო. თუმცა ძალადობა მოენდომებინათ, მაგრას ბევრი აყალ-მაყალის შემდეგ ლუკას მაინც იქიდან გამოერეკნა. ეხლა, როგორც გავიგეთ, თურმე, ძალმომრეობით დაუპირებიათ ამ ტყის დაბეჭვდა, რათა ამსაშუალებით უნდათ სახელმწიფოთ დაანარჩუნონ; განა ამ ნაირი საქციელი შეიძლება?! თუ რომ მართლა სახელმწიფო ჰგონიათ ლუკას ტყე და ლუკა კი არ ანებებს, სუდი არის და სამართალი, უნდა ეძიონ სამართლით და არა ძალ-მომრეობით, რადგანაც ამისთანა საქმეს ცუდი შედეგი აქვს და შეიძლება უბედურებაც რამე მოჰყვეს.

ანაშვილი

*** დ. ძველი-სენაკი (სამეგრელო). წამლები დროზე გვინდა! სწორედ დიდის სიხარულით და აღტაცებით მოველოდით იმ დროს, როდესაც ძველ-სენაკში აფთიაქი დაგვიარსდებოდა. ჩვენმა მრავალგზის თხოვნა-ხვეწნამ მთავრობასთან უნაყოფოთ არ ჩაიარა. მთავრობის ნება-რთვით დაარსდა აქ აფთიაქი, რომლის მმართველი და ამგეა გ. იშხნელი. პირველში აფთიაქის პატრონი ცოტა არ იყოს კარგად ეპყრობოდა საზოგადოებას, მაგრამ ბოლოს-კი, საუბედუროდ, ცოცხის ანდაზა გაამართლა. მაგალითად გყავს მძიმე ავადმყოფი, ექიმის „რეცეპტი“ მოგაქვს სიჩქარით, რათა დროით ავადმყოფს ექიმის დანიშნული წამლები მიაშველო. ბ. პროვიზორი აფთიაქში არ იმყოფება, კითხულობთ სად არის აფთექარიო, გიპასუხებენ სხვაგან ბრძანდებაო, მეტი რა გზაა, უნდა უყურო, მინამ იგი მობრძანდება. ვერაფერი წესი და რიგია!! მეორე უმთავრესი ნაკლულევანება ჩვენის აფთიაქისა ისიც არის, რომ უსაჭიროესი წამლები მას არ მოეძებნება აფთიაქში და ფიქრადაც არ მოსდის შეიძინოს ეს წამლები.

სასურველია, რომ პროვიზორმა ყოველსავე ამას თვისი განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს და იხელმძღვანელოს იმ კანონით, რომელიც სხვა აფთიაქში სუფევს.

კონდრატე ჭკადუა

# თეატრის მატიანე

*** ქ. ოზურგეთი. ქართული წარმოდგენები. როგორც უკვე მოხსენებული იყო „ცნობის ფურცელში“, აქ ჩამოვიდა ქუთაისის დრამატიული დასი და გამართეს ორი წარმოდგენა ქალაქის ბაღის როტონდოში· უმთავრესს როლს ასრულებდნენ ბბ. ქუჯი, ჩარკვიანი, ალავიძე, აბულაძე, ბუკია და აქაური ახალგაზდა უწყინარიძე. მოთამაშე ქალებში მონაწილეობას ღებულობდნენ ქქ. ნ. ჩხეიძე, ივანიძე და ჩიქოვანი. პირველი წარმოდგენა გამართეს 15 ამ თვეს. წარმოადგინეს ისტორიული დრამა „ქართველი დედა“ ავქ. ცაგარლისა და ვოდევილი „არც აქეთ არც იქით“. თუმცა უხერხულ დროს გვეწვია ეს დასი (ისედაც ცოტა მცხოვრები ითვლება ამ ქალაქში და ესენიც საგარაკოთ იყვნენ წასულნი), მაგრამ საზოგადოება მაინც ბლომად დაესწრო ამ წარმოდგენას, ასე რომ როტონდა ძლივს იტევდა მაყურებელთ. ყველა მოთამაშეებმა რიგიანად შეასრულეს თავიანთი როლები და ბევრიც ატირეს კიდეც. მეტად კარგი იყო ფაშას ქალის ლეილას როლში ქ-ნი ნ. ჩხეიძე, დიდს აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება და მიტომ ტაშის-ცემას და ვაშას ძახილს დასასრული არა ჰქონდა.

მეორე ღამეს წარმოდგენილ იქმნა ხუთ მოქმედებიანი დრამა კ. მესხისა „თამარ ბატონიშვილი“ და კომედია „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“. წინა ღამის მაყურებლებმა რაკი გაავრცელეს მოთამაშეებზე ქება, მეორე წარმოდგენას ისე მოაწყდა ხალხი, რომ ტევა აღარ იყო როტონდაში და ორჯერ კიდეც იგრიალა იატაკმა და ჩაიმტვრა მეტის სიმძიმით (მარცხი არაფერი მომხდარა), მაგრამ წარმოდგენამ ვერ ჩაიარა ისე, როგორც საზოგადოება მოელოდა. ლაშა გიორგის როლს ვერ ასრულებდა რიგიანად ბ-ნი ბუკია. ივანე არღუთაშვილის როლში ალავიძე სუსტობდა. არ ითქმის საყვედური რუსუდანის როლზე, რომელსაც ასრულებდა ქ. ივანიძე. კარგი იყო შალვას როლში ბ-ნი ჩარკვიანი. რაც შეეხება ქ-ნ ნ. ჩხეიძეს, რომელიც ასრულებდა თამარის როლს, სწორედ ამ როლისთვის ყოფილა დაბადებული, ისე მკვირცხლად თამაშობდა; მიხვრა-მოხვრა, სილამაზე, ნაზი ქცევა, ლაპარაკი—ყველაფერი ხელს უწყობდა ამ არსებას. ბ-ნი ქუჯი პირველ როლებს ასრულებდა და მშვენივრადაც შეასრულა კიდეც.

დასასრულ ერთი თაიგული და ერთი ხელოვნურად გაკეთებული კალათი მიართვეს ქ-ნ ნ. ჩხეიძეს.

არა ოზურგელი

## † დავით თურიანი

მარიამობისთვის 20 გარდაიცვალა ტფილისში სტამბოლელი სომხური თეატრის ნიჭიერი კომიკი დ. თურიანი. ორი კვირა იქნება, რაც იგი მძიმე ავად შეიქმნა სიდამბლით. შემდეგ ავადმყოფმა მოიხედა და იმედი ჰქონდათ მორჩენისა, მაგრამ საუბედუროდ, მეორეთ იგივე ავადმყოფობამ უცბად გამოაცალა სცენას დიდი ხნის მშრომელი და შნოიანი მუშაკი. არ შეგვიძლია არ ვაუწყოთ მკითხველებს ამ არტისტის საგულისხმო ბიოგრაფია.

დ. თურიანი დაიბადა სტამბოლის პერა ნაწილში, თარლა-ბაშის უბანში 1840 წ. მარიამობისთვის 26-ს. მამა მისი ემსახურებოდა პალატაში სულთანს და კარგადაც სცხოვრებდა. როცა ყმაწვილი 14 წლისა გახდა, მამამ გაგზავნა ვენეციაში მხითარისტების სასწავლებელში. აქ ყმაწვილი მოუთმენლად ელოდა ყველიერის უქმეებს, როცა იმართებოდა სკოლაში წარმოდგენები. აქ თამაშობდა სომხურ და იტალიურ ენაზედ კომიკურ როლებს. ავადმყოფობის გამო სწავლა ვეღარ დაამთავრა და 19 წლისა დაბრუნდა სტამბოლში. მამამ მოინდომა სახელმწიფო სამსახურში მიცემა. იმავე დროს სწავლობდა მხატვრობას. 1860 წ. შესდგა სტამბოლში პირველი კანონიერი თეატრალური დასი, სადაც მიიწვიეს ბ. თურიანი. ახალგაზდა ყმაწვილ კაცს აღეძრა წინანდელი ყმაწვილური სიყვარული, მიატოვა მხატვრობა და დიდის სურვილით მიეცა საყვარელ საგანს. პირველად, როგორც ყველა დამწყებ ახალგაზდა მსახიობს, იკისრებდნენ ყველანაირ როლებს. მაგრამ იტალიელ რეჟისორს არ გამოეპარა ამ ყმაწვილის კომიკური ნიჭი და მის შემდეგ თამაშობდა მხოლოდ კომიკურ როლებს. ორი წლის შემდეგ, როცა მოიშალა ამხანაგობა, განსვენებული გადავიდა ზმიურნიას, სადაც 1863—64 წწ. სეზონისათვის შესდგა დასი სახელოვანი არტისტის დახმარებით. მაგრამ თეატრალურ უსიამოვნობის გამო დასმა დიდხანს ვერ გასძლო და მსახიობნი გაიფანტნენ. დარჩნენ გამოუცდელი თურიანი და ფასულეჯიანი, რომელთაც უნდოდათ გეემართნათ თავიანთ სასარგებლოდ წარმოდგენა, მაგრამ ვერ მოახერხეს. დაღონებულმა ყმაწაილ კაცმა ისევ მიმართა მხატვრობას და შევიდა ფოტოგრაფიაში. ზმიურნიაში დარჩა წელიწად ნახევარი, აქ შეირთო ცოლი და 1869-ში დაბრუნდა სტამბოლს. აქ სასცენო ხელოვნება დაცემული დახვდა, რადგან უმთავრესი მსახიობნი განშორებულნი იყვნენ, თუმცა წარმრდგენები იმართებოდა თათრულ და სომხურ ენაზე. თურიანმა იქვე მიჰყო ხელი მხატვრობას, თუმცა იმავე დროს თავი არ დაანება სცენას.

1870 წ. ბ. ფასულეჯიანი თავის თეატრალურ მოგზაურობის შემდეგ რუსეთსა და კავკასიაში დაბრუნდა სტამბოლს, რომ შეჰკრიბოს დასი როსტოვში წამოსაყვანათ.

დასში იმყოფებოდნენ სხვათა შორის თურიანი და ადამიანი. მაგრამ არ ჰქონდათ შემოსავალი და დასი დაიშალა·და დარჩნენ ულუკმა-პუროდ. თურიანმა გამჭრიახობით ყველას აჯობა და არ დაღონდა. მივიდა მაშინდელ ქალაქის უფროსთან მოურავთან ბ. პლოტნიკოვთან, აუხსნა მდგომარეობა და ნება სთხოვა მუშაობისა იმის ახალ აშენებულ სახლში.

— რა საქმე შეგიძლიან აასრულო, ჰკითხა პლოტნიკოვმა.

— პოლსა და ჭერს დაგიხატავთო, უპასუხა თურიანმა.

— სცადეთ, ვნახოთ, თუ მოვიწონე საქმეს მოგცემო.

ორი კვირის შემდეგ მშვენივრად იყო დახატული სახლის იატაკი და ჭერი, რომლის დროსაც მაღალ კიბეზე დამდგარი შველოდნენ, შემდეგ გამოჩენილი ადამიანი და ფაფაზიანი. ასე თავის შრომით ინახავდა ამხანაგებს და მაინც სცენას თავს არ ანებებდა 1872 წ. დაბრუნდა სტამბოლს, აქედან გაემგზავრა სალონიკს საცა თამაშობის დროს დაატუსაღეს და გამოგზავნეს ისევ სტამბოლს. 1878 წ. გაემგზავრა ადრიანპოლს, შემდეგ ბრუსაში, სადაც თამაშობდა მოლიერის პიესებს და ოპერეტკებს. 1883 ჩამოვიდა ტფილისში, საცა ბჩიმიშკიანი ცდილობდა სული ჩაუდგა რა სომხურ თეატრს, აქ საზოვადოება აღტაცებაში მოიყვანა თავის ხელოვნური და ნიჭით სავსე თამაშით. მაგრამ 1884 წ. ისევ დაბრუნდა სტამბოლს და ისევ დაიწყო ქალაქებში სიარული. 30 წ. წანწალმა, ვაებამ და შიმშილმა იძულებულ ჰყო განსვენებული მიემართა ვაჭრობისათვის ხელი,

საგრამ ამ დროს ისევ მოიწვიეს ტფილისში 1891 წ. სეზონისთვის. უკანასკნელად წარსულ ზამთარს ბაქოში მიიწვიეს, სადაც უნდა წრეულაც ეთამაშნა, მაგრამ სიკვდილმა არ დააცალა. ბ. თურიანი თამაშობდა ესრედ წოდებულ კომიზსერიო როლებს, რომელშიაც ეხლა ვერავინ შეედრება. ბ. თურიანი გარდაიცვალა 58 წლისა და განუწყვეტლივ შრომობდა სცენაზე 38 წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში მოიარა ბოლგარეთი, რუმინეთი, ეგვიპტე, ათინა და სხვ. ქალაქები. განსვენებული არ იყო იმ პირთაგანი, რომელთაც ჰსურთ რომ იყვნენ მუდმივ საზოგადოების სალაპარაკო და სათაყვანო. ერთ და იმავე დროს იყო კარგი მთარგმნელი იტალიურ ენიდან. 38 წლის განმავლობაში ის მოთმინებით ეწეოდა ამ მძიმე უღელს და არასოდეს არ შეუჩივლია, ამ ხნის განმავლობაში ბევრჯერ ასტკივნია გული, მაგრამ არავისთვის არ უთქვამს. ამ ხნის განმავლობაში ბევრჯერ ყოფილა პურის ნატრული, მაგრამ მისი ხმა კაცს არ გაუგია. ამ ხნის განმავლობაში გაუწევია ერთგული სამსახური საერო სცენისათვის დაუღალავად და მოსვენება იპოვა მაინც სცენის სიყვარულით აღჭურვილი. და რა გამოვიდა აქედან? რა ჯილდო მიიღო საზოგადოებისაგან ან თითონ, ან თავის ოჯახობამ? სილატაკე და სიმშილი! კაცი, რომელიც არ იყო გარყვნილი, კაცი, რომელიც თავ-გადადებული იყო მეგობრისათვის, ამხანაგისათვის და ოჯახისათვის—არის დავიწყებული ყველასაგან და იმარხება საზოგადო ხარჯით. ასე მწარეა, მკითხველო, აქტიორის მდგომარეობა და მომავალი! სამათ სამი ტაძარია, საიდამაც ცოცხალი სიტყვა ისმის: ეკკლესია, სკოლა და სცენა. დროა ყურადღება ვიქონიოთ ამ უკანასკნელ ტაძრის მსახურებზე, რომელნიც თავიანთ სიცოცხლეს ალევენ საზოგადოების განვითარებაში. საფლავი, დამჭკნარი ყვავილები და ჯვარი—აჰა ის, რაც რჩება ნიჭიერი მსახიობის შემდეგ. სამწუხაროა, დიდათ სამწუხაროა, მაგრამ ასე კია!

არტისტი გედეონ გედევანოვი

## ყურმოკრული საუბარი

—

მონადირეთა შორის. საოცარი ამბავი დამემართა გუშინ-წინ, დაიწყო ერთმა მონადირემ და ის იყო უნდა გაეგრძელებინა ბაასი, როდესაც მეორემ შეაჩერა ამ სიტყვებით:

— ვიცი, ვიცი!

— მერე შენ საიდან იცი? იწყინა პირველმა.

— როგორ არ ვიცი, როცა ეგ ამბავი შარშან სხვილმა სოსიკამ მიამბო.

—

ვინ როგორ ირთავს ცოლს. ერთმა არა ბრძენმა ბრძნული რამე წარმოსთქვა:

— მომეტებულ შემთხვევაში ჭაბუკი სიყვარულით და ვნებით ირთავს ცოლს, ხანში შესული კაცი ანგარიშით, ხოლო ბებერი სულელობითო.

მართალიც არის!

## სასარგებლო ცნობა

—

ზეთის ჭურჭელი ადვილად ირეცხება ყავის ნალექით ანუ ნახარშით. ზეთიანი ბოთლი, მაგალითებრ, ერთი მეოთხედამდე უნდა აავსოთ ყავის ნახარშით და შეაჭანჭყაროთ, ხოლო შემდეგ ყავის ნახარში გამოჰყაროთ და ბოთლი რამდენჯერმე წყალით გამოავლოთ, ზეთიანობა სულ აღარ შეეტყობა.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან),

21 აგვისტო.

**პარიზი.** საგენერალო შტაბის უფროსმა ბუადერფმა, ანრის საქმის გამო თანამდებობას თავი გაანება. შტაბის უფროსად დანიშნულ იქმნა გენერალი რენუარი.

**პარიზი.** პოლკოვნიკმა ანრიმ მონვალერიენში თავი მოიკლა. ანრიმ ყელი გამოიჭრა.

**პარიზი.** „Figaro“ სწერს, რომ მონ-ვალერიენის საპატიმროში ანრის თავის მოკვლის ამბავი გაიგეს საღამოს 9 საათზედაო. ჰფიქრობენ, რომ თავი 5 საათზე მოიკლაო. ამბობენ, რომ რამდენისამე წუთით ადრე ვიდრე დარაჯი შევიდოდა, ანრიმ სამართებელს ხელი დაავლო, ყელი გამოიჭრა და იქვე უგრძნობელი დაეცაო. როდესაც დარაჯი შევიდა ანრი უკვე გარდაცვალებული იყო „Rappel“-ი სწერს, რომ სამ საათზე მონ-ვალერიენში აფიცერი მივიდა, მთელი საათი ელაპარაკა დაპატიმრებულს და 4 საათზე წავიდაო. წასვლის დროს დარაჯს უთხრა პოლკოვნიკი მოხსენებასა სწერს და ნუ შეაწუხებთ, იმასთან ნუ შეხვალთო. 5 საათზე ერთმა დარაჯმა ფანჯარაში შეიხედა და დაინახა, რომ პოლკოვნიკი მიწაზე გდია გარდაცვალებული. ამბობენ, რომ თავის მოკვლის წინად წერილი მისწერა სამხედრო მინისტრს, ბუადერფს და თავის ცოლს. ამ უკანასკნელს ნება მისცეს, რომ ღამე ქმრის გვამთან გაეტარებინა.

შესაძლებელია,—სწერს „Figaro“, რომ ახლო მომავალში პარლამენტის საგანგებო კრება მოიწვიონ. იმასაც ამბობენ, რომ კომისია შესდგება საქმის გამოსაძიებლადაო.

**პარიზი.** გენერალმა რენუარმა იკისრა საგენერალო შტაბის უფროსობა.

„Timps“-ი იმ წერილში, რომელშიაც დრეიფუსის საქმის ხელ-ახლა გადასინჯვის შესახებ არის ლაპარაკი, სხვათა შორის ამბობს: „კავენიაკმა თავისი საქმე დაასრულა და ეხლა მოსთხოვს სარიენს, რომ გაუქმებულ იქმნას 1894 წ. გარჩევა საქმისა. რაც უფრო ჩქარა დაიწყება იგი ხელ-ახლა მით უმჯობესი იქნება, საზოგადოების დაკმაყოფილება შეიძლება მხოლოდ ჭეშმარიტებით, რომელიც მზად არიან ყველამ მიიღოს და რომელსაც ხვალ მინისტრებსაც მიაღებინებენ.


**Изданіе газеты «Казбекъ»,**

пріостоновленное распоряж. г. Министра Внутр. дѣлъ, на 8 мѣсяцевъ возобновляется со **2**-го сентября 1898 г.

**Принимается подписка**

на общественную, политическую и литературную гасету

**„КАЗБЕКЪ“**

**Условія подписки:**

Съ доставкою во Владикавказѣ на одинъ годъ . . . . **6** руб.
Съ пересылкою иногороднимъ » » » . . . . **7** руб.
Съ сентября по 31 декабря 1898 г. какъ городскимъ, такъ и иногороднимъ подписчикамъ **два** рубля.

**Плата за объявленія:**

На 1-й страницѣ за 1 разъ 20 к. послѣдующіе разы 10 к. ) со строки
На 4-й » „ 1 » 10 к. „ » 5 к. ) петита

Отдѣлный нумеръ 5 коп.

Подписиваться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и до конца года. Подписка и объявленія принимаются во Владикавказѣ, въ конторѣ газ. «Казбекъ» у издателя С. І. Казарова. (12—1)

**ქართული რვეულები**

დედა-ენასთან სახმარებელი, პირველი და მეორე ნომერი, იყიდება წერა-კითხვის მაღაზიაში; ფასი 4 კაპეიკი ვინც ასობით იყიდის, იმას თითო რვეული დაუთმობა $3\frac{3}{4}$ კაპეიკად. მყიდველებმა ქუთაისში უნდა მიმართონ ბეჟანიშვილის მაღაზიას და ხონში ილ. ბახტაძის წიგნის მაღაზიას. (8—5)

**КЪ ВОПРОСУ**

**О ПОДНЯТІИ ОБРАЗОВАНІЯ СРЕДИ ГРУЗИНСКАГО ДВОРЯНСТВА**

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. წმინდა შემოსავალი დანიშნულია სასარგებლოდ დამშეულთა საქართველოში და რუსეთში ფასი ერთი აბაზი. ვინც ათს წიგნს და ან მეტს იყიდის, იმას წიგნი დაუთმობა 16 კაპიკად. მყიდველთ უნდა მიჰმართონ ხსენებულ მაღაზიას.

**ურბენი L'urbain**

საზოგადოება, რომელიც აზღვევს თანხებს, მზითვებს, შემოსავლებს და სხვა. შეღავათიანის პირობებით ავადმყოფობისა თუ შეუძლებლობის დროსათვის.

დაზღვეულთ მონაწილეობა ეძლევათ მოგებაში დაზღვევის პირველ წლიდანვე.

კონტორა ამიერ-კავკასიისა, ამიერ-კასპიისა, თურქესტანისა და ბუხარის მხრისათვის იმყოფება **ტფილისში**, მიხეილის ქ. № 9, პოპოვის სახლი. ტელეფონი № 543.

მთავარი რწმუნებული ბაგრატ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი
ინსპექტორი ნიკოლოზ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი.

ცნობანი და ბარათები ყველას მიეცემა აგენტებისაგან მთელს რუსეთის იმპერიის ქალაქებში.

Контора страховаго общ. **„УРБЭНЪ“**

Тифлисъ, Михайловская № 9, д. Попова. Телефонъ № 543.
(50—29)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Августа 1898г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. გუნიასი), სახ. ქ. სათ.-აზ. ქარხ. რედაქტორ-გამომცემელი **ვ. გუნია.**